საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი

წლის ანგარიში

თბილისი

2017 წ.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობა

2017 წლის 24 მაისს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა გააფორმა ხელშეკრულება ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან, რომელმაც იკისრა ვალდებულება 2018 წლის ნოემბერში დაასრულოს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები.

- ამ ეტაპზე დასრულებულია ფლიგელის (ბოლო სართულის მონოლითური ფილის დაბეტონების სამუშაოები.
- მოეწყო საპროექტო შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად სადრენაჟე სისტემები

თბილისის საქალაქო სასამართლოს მშენებლობა

- პროექტის ფარგლებში საპროექტო შენობაში 0 და 1 სართულზე მოეწყობა 24 სამოქალაქო საქმეთა დავების განხილვისათვის საჭირო სხდომათა დარბაზი

- მათ შორის:
  საარბიტრაჟო დავებისათვის განკუთვნილი დიდი დარბაზი,
- მეორე და მესამე სართულზე მოსამართლეებისათვის განკუთვნილი 40 სამუშაო ოთახი 18-20 კვ.მ. ფართით
- სასამართლოს აპარატის თანამშრომელთათვის განკუთვნილი 36 სამუშაო ოთახი 40-45 კვ.მ. ფართით.
- პროექტის ღირებულებაა 5 117 500 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს დაემატა ერთი სხდომათა დარბაზი

- ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოეწყო და აღიჭურვა სამოქალაქო კოლეგიისათვის განკუთვნილი სხდომათა დარბაზი.
- რეაბილიტირებული სხდომათა დარბაზი აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით.

2017 წლის 30 ოქტომბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს ახალი შენობა გაიხსნა

- ბორჯომის სასამართლოს ახალი შენობა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა გახსნეს.

გახსნის ცერემონიალს ესწრებოდნენ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები;
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე;
- სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებული გუბერნატორი;
- აღმასრულებელი, საკანონმდებლო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- საქართველოს პროკურატურის, ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგეობისა და იურიდიული დახმარების სამსახურის წარმომადგენლები.

ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო

- სასამართლო შენობის საერთო ფართი 520 კვ. მეტრს შეადგენს, სასამართლო სხდომის დარბაზთან ერთად მოწყობილია საკონფერენციო სივრცე, სადაც საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ჩატარდეს მოსამართლეთა ტრეინინგები და სემინარები;
- ახალ სასამართლო შენობაში განთავსებულია სასამართლოს აპარატის და მოსამართლის სამუშაო ოთახები, საბადრაგო, არქივი და საქმის გასაცნობი ოთახი;
- სასამართლო შენობის შესასვლელის საერთო ნაწილი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარგებლობისათვის;

- ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს ახალი შენობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების საბოლოო ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 678129,87 ლარი.

ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო

ბორჯომის მაგისტრატი სასამართლო განთავსებული იყო ძველი სასამართლოს შენობაში, რომელიც 80-იანი წლების შემდგომ არ გარემონტებულა. შენობის რეაბილიტაცია და შემდეგ მისი ექსპლუატაცია დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. ძველი შენობა მდებარეობდა ბორჯომის შემოსასვლელში, რაც არახელსაყრელ ადგილმდებარეობას წარმოადგენდა, როგორც სასამართლოს თანამშრომელთათვის ასევე მოქალაქეებისთვის.



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ, 2016 წლის 3 ოქტომბერს დაიწყო ბორჯომის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს მშენებლობა, რომელიც ტენდერით განსაზღვრულ ვადაზე ადრე 2017 წლის 30 აგვისტოს დასრულდა.

ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საბადრაგო ბლოკს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სახურავის შეცვლის სამუშაოები განხორციელდა.

- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სახურავი დაზიანდა კოროზიის გამო, წვიმიანი ამინდების დროს შენობაში აღწევდა ატმოსფერული ნალექი, რის შედეგადაც ზიანდებოდა სასამართლოს ინფრასტრუქტურა;
- აღსანიშნავია, რომ სასამართლოს შენობა შეტანილია კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლთა ნუსხაში;
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მყისიერად მოხდა რეაგირება აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სახურავის შეცვლის სამუშაოები განხორციელდა

- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინიტროსთან შეთანხმებით მომზადდა შესაბამისი პროექტი და გადაწყდა შეცვლილიყო სახურავის მთლიანი ზედაპირი, წყალმიმღები ღარები, წყალშემკრები ძაბრები და წყალგამტარი მილები;
- მთლიანად შეიცვალა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს დაახლოებით 3000 კვ.მ დაზიანებული სახურავი თანამედროვე მაღალი ხარისხის ფერადი მოთუთიებული თუნუქით;
- დამონტაჟდა ახალი წყალმიმღები მილები და ძაბრები.

თელავის რაიონულ სასამართლოში ფლიგელის მიშენების სამუშოები მიმდინარეობს

თელავის რაიონულ სასამართლოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედების მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.

თელავის რაიონულ სასამართლოში არსებული დარბაზების ფართი და განლაგება არ იძლეოდა ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი დარბაზის მოწყობის საშუალებას, ამიტომ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სასამართლოს შენობისათვის დამატებითი ფართის მიშენების.

სასამართლოს ეზოს უკანა მხარეს მთლიან პერიმეტრზე მოეწყო არმირებული კედელი, რაც აუცილებლობას წარმოადგენდა, ვინაიდან სასამართლოს ეზოს უკანა მხარე დაუცველი იყო უცხო პირების შემოსვლისაგან, ასევე ხშირად ჰქონდა ადგილი ნაყარი მიწის სასამართლოს ეზოში ჩამოშლას.

თელავის რაიონულ სასამართლოში ფლიგელის მიშენების სამუშაოები მიმდინარეობს

მიშენებულ ფართში განთავსდება:

- ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი სხდომათა დარბაზი;
- სათათბირო ოთახი;
- სველი წერტილები;
- ნაფიც მსაჯულთათვის განკუთვნილი სასადილო ფართი;
- კეთილმოეწყობა ეზო, დაიგება ასფალტის საფარი;
- მოეწყობა ავტოსადგომი;
- შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად მოეწყობა სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემა;
- ამ ეტაპზე დასრულებულია მშენებლობის პირველი ეტაპი (შავი კარკასი);

- მეორე ეტაპზე ჩასატარებელ სარეაბილიტაციო სამუშაობზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიასთან ტარდება შესაბამისი, კანონით გათვალისწინებული პროცედურები. თელავის რაიონული სასამართლოს მომატებული საერთო ფართი მიახლოებით 600კვ. მეტრს შეადგენს.

სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს

- საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს.
- პროექტის ფარგლებში განხორციელდა არსებული ავარიული ორსართულიანი მიშენების დემონტაჟი,
- დემონტირებული ფართის ადგილზე აშენდა უფრო ფართო სამ სართულიანი მიშენება.
- ახალ აშენებულ ფართში განთავსდება ოთხი სამუშაო ოთახი, სასამართლოს არქივი, სხდომათა დარბაზი და საიდუმლო ოთახი

სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სამშენებლო სარეაბილიტაციო მიმდინარეობს

- პროექტის ფარგლებში სრულიად რეაბილიტირდა სასამართლოს შენობის ფასადი
- მთლიანად შეიცვალა შენობის დაზიანებული სახურავი,
- რეაბილიტირდა საბადრაგოები
- სრულად გარემონტდა ე.წ. ნულოვანი სართული

- რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფოიეს და სამივე სართულის დერეფნებს, სამუშაო ოთახებს
- მოეწყო სადრენაჟე და სანიაღვრე სისტემები, შენობის საძირკვლის გრუნტის აგრესიული წყლისგან (ნესტისგან) დასაცავად

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ფოთის რაიონულ სასამართლოში სარეაბლიტაციო სამუშაოები განახორციელა

- პროექტის ფარგლებში სრულიად განახლდა საქვაბე მეურნეობა,
- გარემონტდა სასამართლოში არსებული სხდომათა დარბაზი
- რეაბილიტირდა სასამართლოს არქივი
- სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ფოთის სასამართლოში არსებულ საბადრაგო ბლოკს,
- რეაბილიტირდა კიბის უჯრედი,
- გარემონტდა საპირფარეშოები, რომელიც აღიჭურვა შესაბამისი ინვენტარით,

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ფოთის რაიონულ სასამართლოში სარეაბლიტაციო სამუშაოები განახორციელა

- სასამართლოს შენობაში მოეწყო ადაპტირებული სველი წერტილი.
- რეაბილიტირდა სასამართლოს შენობის ფასადის ალუკობონდის საფარი.
- გაიმართა სახანძრო სიგნალიზაცია.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა

- სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მთლიანად შეიცვლა სასამართლოს სახურავი,საიდანაც ნალექიანი ამინდის დროს იყო საშიშროება, რომ სასამართლოს შენობაში წყალი ჩასულიყო და დაეზიანებინა სასამართლოში განთავსებული რეგიონალური არქივის მასალები.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა

- განახლდა და რეაბილიტირდა სასამართლოში შესასვლელი პორტალი
- შენობის მდგრადობის შენარჩუ-ნების მიზნით და ადგილობრივი კლიმატური პირობების გათვალისწინებით მოეწყო წყალგადამყვანი სისტემა.

- კეთილმოეწყო სასამართლოს ეზო
- დამონტაჟდა გარეგანათება,
- დაიგო ასფალტი ეზოს მთელ პერიმეტრზე
- შენობაში აღდგა და გაიმართა სახანძრო სიგნალიზაცია.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა

- სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში რეაბილიტირდა სასამართლოს შენობის ცენტრალური ფასადი და პორტალი,
- შშმ პირთათვის მოეწყო პანდუსი
- მოეწყო წყალგადამყვანი სისტემა და დაიგო ასფალტის საფარი.

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.

- შენობაში სრულიად გაიმართა სახანძრო სიგნალიზაცია;
- კეთილმოეწყო საბადრაგო ბლოკი;
- სასამართლოს შენობის მიმდებარე ეზო;
- რეაბილიტაცია ჩუტარდა ღობეს;
- დამონტაჟდა ახალი ცენტრალური შესასვლელი კარები;
- სასამართლოს შენობაში გარემონტდა ფოიე და სასამართლოს სხდომის დარბაზი.

რუსთავის საქალაქო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა

- გამაგრებითი სამუშაოები ჩაუტარდა ახლად შემოერთებულ შენობას
- სრულიად რეაბილიტირდა ახალი ფართის ფასადი.
- გარემონტდა შენობაში არსებული ერთი სასამართლო დარბაზი
- მიშენებულ ფართში ასევე მოეწყო არქივი 40კვ.მ ფართით

- რეაბილიტირდა მოქალაქეებისათვის განკუთვნილი დერეფნები და ფოიე,
- გარემონტდა სასამართლოში მომუშავე პერსონალთა სამუშაო ოთახები
- სასამართლოს დაემატა ორი ახალი ტიპის სამოქალაქო დავებისათვის განკუთვნილი სხდომათა დარბაზი
- გაიმართა სახანძრო სიგნალიზაცია

რუსთავის საქალაქო სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა

- აპარატის თანამშრომლებისათვის დაემატა სამი სამუშაო ოთახი.
- ახალი დარბაზები და სამუშაო ოთახები აღჭურვილია ახალი თანამედროვე დიზაინის ავეჯით და ინვენტარით.
- სასამართლოს ახალი დარბაზების დიზაინი რუსთავის სასამართლოს თავმჯდომარის მამია ფხაკაძის ინიციატივით საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაკვეთით დამზადდა

თიანეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა

თიანეთის მაგისტრატ სასამართლოში შენობის პარაპეტი იყო დაზიანებული და დაძრული, რაც საფრთხეს უქმნიდა სასამართლოს მთლიან შენობას;

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენდა დაზიანებული პარაპეტის სრულად დემონტაჟი.

თიანეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა

- სასამართლოს შენობის პარაპეტის დემონტაჟის შემდგომ რეაბილიტირდა მოსამართლის სამუშაო ოთახი;
- გარემონტდა კიბის უჯრედი;
- სასამართლოს შენობაში გაიმართა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

დუშეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა



დუშეთის მაგისტრატი სასამართლოს შენობის არსებული პორტალი დაზიანებული იყო შენობის წინ არსებული წიწვოვანი ხეების გამო, რის გამოც აუცილებლობას წარმოადგენდა დაზიანებული პორტალის ნაწილობრივი დემონტაჟი და შემდგომ მისი რეაბილიტაცია.

დუშეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა

- სარინელის არარსებობის გამო ზიანდებოდა შენობის ფასადის ქვედა ნაწილი და ხდებოდა სხდომათა დარბაზის კედლის დანესტიანება;
- არსებული პრობლემის მოგვარების მიზნით მოეწყო ბეტონის სარინელი;
- გარემონტდა ნესტისგან დაზიანებული კიბის უჯრედი;

- გარემონტდა სასამართლოს სხდომათა დარბაზი;
- სრულად რეაბილიტირდა საბადრაგო ბლოკი;
- მოეწყო არქივის ოთახი;
- ასევე აღდგა და გაიმართა ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა.

ხონის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა

- სასამართლოს სახურავი იყო დაზიანებული, რის გამოც ნალექიანი ამინდების დროს შენობაში აღწევდა ატმოსფერული ნალექი, ზიანდებოდა სასამართლოს ინფრასტრუქტურა

- ნალექიანი ამინდების შედეგად დაზიანებულ სამუშაო ოთახებს სრულად ჩაუტარდა რეაბილიტაცია.

საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ავტოპარკის დაზღვევა განხორციელდა

- განხორციელდა სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული 106 ავტომობილის დაზღვევა საერთო თანხით 56000 ლარი.
- დაზღვევა განხორციელა სადაზღვევო კომპანიამ ალფამ. მიმდინარე წლის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევა დაუდგა 34 ავტომობილს.
- სადაზღვევო კომპანია ალფას მიერ ანაზღაურებულია 35000 ლარი.
- ასევე ავტოპარკის გამართული და შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი რაოდენობის საწვავის, საქონლის და ტექნიკური მომსახურებების შესყიდვა.

ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული პროექტები

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის ახალი რედაქციის შესაბამისად დეპარტამენტში დასრულდა რანგირების წარმართვასთან დაკავშირებული პროცედურები, რადგან ამავე კანონით გათვალისწინებული გარდამავალი პერიოდის გასვლის შემდგომ, უზრუნველყოფილ იქნეს დეპარტამენტის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ამავდროულად მიმდინარეობს კონკრეტული პოზიციებისათვის დეტალური ფუნქცია-მოვალეობის განსაზღვრასთან დაკავშირებული პროცედურებიც, რათა, ასევე შეუფერხებლად განხორციელდეს თანამშრომელთა შეფასებასთან დაკავშირებული შემდგომი რეაგირებანიც

სსიპ საერთოს სასამართლოების დეპარტამენტში დამტკიცდა წესდების ახალი რედაქცია, რომელიც სრულიად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შრომითი ურთიერთობის რეგულირების წესებს, ასევე სხვაგვარად აწესრიგებს თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური წარმოებას. სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინიცირებით განხორციელდა რამდენიმე სახის ცვლილება, საერთო სასამართლოების მანდატურ მოსამსახურეთათვის განკუთვნილი ფორმის ატრიბუტიკასთან მიმართებაში, რის შემდგომაც ფორმის შემადგენელ ნაწილებად, ასევე დამატებულ იქნა შესაბამისი დიზაინების ქუდები და წვიმის ლაბადები

მიმდინარეობს დეპარტამენტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცედურების გამარტივების მიზნით ელ. დოკუმენტ ბრუნვის დანერგვასთან დაკავშირებულიო მოლაპარაკებები, ხოლო მანამდე შემუშავებულ იქნა დეპარტამენტში შემოსული და მის შიგნით ნაწარმოები დოკუმენტაციის აღრიცხვიანობისა და მათი მოძრაობის დროებითი წესი



ადმინისტრაციული სამსახურის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

- მიმდინარეობს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ოფიციალური ვებ გვერდის რეკონსტრუქციის სამუშაოები, შესაბამისად მომავალი წლიდან გაშვებულ იქნება ახალი დიზაინის თანამედროვე ვებ პლატფორმა, რომელიც გათვალისწინებს ყველა საჭირო ინფორმაციისა თუ საინფორმაციო ბმულების განთავსების შესაძლებლობას, ასავე ასახავს საერთოს სასამართლოებში განხორციელებული სიახლეების შესახებ ინფორმაციებს.



- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ეგიდით წლის განმავლობაში, ასევე ხორციელდება საერთო სასამართლოებში დანერგილი სიახლეებისა თუ ახალი მშენებლობების გახსნასთან დაკავშირებული აქტივობების, ფართო საზოგადოებისათვის გაცნობასთან დაკავშირებული ღონისძიებებიც, აღნიშნულის ფარგლებში მომზადებულ იქნა სარეკლამო რგოლები, ასევე სხვადასხვა ინფორმაციული ხასიათის „ფლაერები“, ბუკლეტები თუ ჟურნალები.

- მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებულ იქნა და შემდგომში დამტკიცდა სსიპ საერთო სასამართლოს დეპარტამენტის ახალი ლოგო, რომლის გამოყენებაც ხორციელდება დეპარტამენტში შექმნილ ყველა ოფიციალურ დოკუმენტზე ასევე სხვა მატერიალურ ფასეულობებზე

თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე გაიმართა საერთო სასამართლოების ახალი ახალი მონაცემთა ცენტრი

- 2016-2017 წელს საერთო სასამართლოების ახალი მონაცემთა ცენტრში ეტაპობრივად განხორციელდა ქსელური ინფრასტრუქტურის მონტაჟის პირველი ეტაპი, რომლის გახსნის ღონისძიებაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ნინო გვენეტაძემ, მაღალი შეფასება მისცა ახალი მონაცემთა ცენტრისა და ქსელური ინფრასტრუქტურის შექმნას და მის ფუნქციონირებას სასამართლო სისტემის გამართული, ეფექტური და ხარისხიანი მუშაობის თვალსაზრისით. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ განსაკუთრებით აღნიშნა, პროექტის მხარდაჭერაში მონაწილე ყველა სტრუქტურის, მათ შორის დონორი ორგანიზაციების მონდომება და ოპერატიული მუშაობა პროექტის დროული და წარმატებით დასრულებისათვის. ცენტრში განთავსებულია საერთო სასამართლოების სივრცეში არსებული ორმოცამდე ელექტრონული სერვისი. რომელთა შორის აღსანიშნავია:

- საქალაქო/რეგიონული, სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს საქმის წარმოების ელექტრონული სისტემა
- საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად ელექტრონული განაწილება;
- INFO.COURT.GE სასამართლოს გადაწყვეტილებების ელექტრონული საძიებო სერვისი;
- სასამართლოში არსებული სხდომების ავტომატური გამოქვეყნების სერვისი;
- სასამართლოს სხდომების აუდიო ჩაწერების სიტემა.
- სხვა მრავალი შიდა და საჯარო გამოყენების სერვისები
- მონაცემთა ცენტრის პერიმეტრს ყველა მხრიდან იცავს ვიდეო-სამეთვალყურეო სისტემა.
- შენობა ძირითადი და მზღვეველი ოპტიკურ-ბოჭკოვანი არხებით პირდაპირაა დაკავშირებული საქალაქო სასამართლოს შენობასთან, კერძოდ კი მის ტექნიკურ სართულთან. ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურა გათვლილია კომუნიკაციაზე როგორც გრძელ, ასევე მოკლე დისტანციებზე.

საერთო სასამართლოების ახალი მონაცემთა ცენტრი

- შენობა სრულად გარემონტდა და მოეწყო „Rittal“-ის და “Teksan-Generator”-ის წარმოების ისეთი თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორებიცაა: გაგრი-ლების, ელექტრო-კვების, უწყვეტი ელექტრო კვების, ხანძარ საწინააღმდეგო, მონიტორინგისა და სიგნალიზაციის სისტემები.

- საკომუნიკაციო რექებში ჩამონტაჟდა Cisco - ს წარმოების დუბლირებული ფაირვოლი ინფრასტრუქტურაზე მოშორებული წვდომისთვის და ასევე ახალი თაობის დუბლირებული ფაირვოლი, რომელიც დაიცავს შიდა ქსელურ პერიმეტრს - layer 7 - ის დონეზე აპლიკაციების ფილტრაციის. დამონტაჟდა ორი Cisco Nexus სერიის სვიჩი , რომელიც შეასრულებს ქსელური შემკრების (აგრეგატორი) ფუნქციას და ორი ეგრეთწოდებული „fabric extender”, რომელიც ასრულებს ზემოთ ხსენებული მოწყობილობის მოშორებული დანამატის ფუნქციას და ამრავლებს პორტების რაოდენობას, რომლებზეც უნდა დაერთდეს სერვერული ინფრა-სტრუქტურა.
- დამონტაჟდა ოპტიკური პაჩ-პანელების რექი, რომლის მეშვეობითაც მოხდება ყველა ტიპის სერვისისა და კომუნიკაციის ახალ დატა-ცენტრში თავმოყრა.

- ყველა ჩამოთვლილი მოწყობილობა არის დუბლირებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ-ერთი მოწყობილობის მწყობრიდან გამოსვლა არ გამოიწვევს სერვისების მიწოდების დროებით ჩავარდნას ან/და საერთოდ შეჩერებას. შესაძლებელი იქნება დაზიანებული მოწყობილობის ჩანაცვლება ახლით ისე, რომ არ გახდეს საჭირო რომელიმე სერვისის გაჩერება ან/და გათიშვა
- ახალი დატა-ცენტრის ექსპლუატაციაში გაშვების სრულმა ღირებულებამ შეადგინა 1 584 215 ლარი.

სასამართლო სხდომების ავტომატური გამოქვეყნება მონიტორებზე

დაინერგა სასამართლოს სხდომათა განრიგის ავტომატური გამოქვეყნების სერვისი რომელიც შესაძლებელს ხდის პროცესის მონაწილე მხარეებმა თვალყური ადევნონ ჩანიშნული სხდომების განრიგს და შესაძლო ცვლილებებს.

სასამართლო სხდომის დარბაზიის გახმოვანების აუდიო სისტემა

- სასამართლო სხდომის დარბაზის გახმოვანების სისტემა ახდენს სასამართლო პროცესის ციფრული ოქმის შექმნას. ციფრულ ოქმს კომპლექსური ფორმატი გააჩნია, მასში ისახება, როგორც ინფორმაცია სხდომის მიმდანარეობის შესახებ, ასევე მრავალარხიანი და ტეგირებული აუდიო მასალაც.
- სასასამართლო სხდომის ოქმში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით აღიწერება მოქმდებების დაწყების დრო. მოქმედების დასახელება, მონაწილე პირები, მოკლე კომენტარები, ინფორმაცია სასასამართლოს სხდომის შეამადგენლობის შესახებ, საქმის ნომერი და ა.შ.

- საერთო სასამართლოებისთვის ერთიანი საინფორმაციო ცენტრის (Call Center) ჩამოყალიბებისთვის, საქალაქო სასამართლოს ხელმძღვანელობასთან ერთად მიმდინარეობს პროგრამული უზრუნველყოფის შერჩევა და ტესტირება.ერთიანი საინფორმაციო ცენტრი უზრუნველყოფს მოქალაქეთა უშუალო კავშირს სასამართლოებთან, გაზრდის მათ იმფორმირების დონეს და ხელმისაწვდომობას მართმსაჯულებასთან და სასამართლო სისტემასთან.

საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმეთა განაწილების სისტემა

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის, N 145 დადგენილებით, საერთო სასამართლოების საინფორმაციო ტექნოლოგიების დეველოპმენტის ჯგუფის მიერ საქართველოს საერთო სასამართლოებისათვის შეიქმნა საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების სისტემა . სისტემა 1 ივლისს საპილოტე რეჟიმში რუსთავის საქალაქო სასამართლოში წარმატებით გაეშვა.
- საერთო სასამართლოებში უნდა გაეშვას 2017 წლის 31 დეკემბრიდან
- საქმეთა ელექტრონულად განაწილების პროექტის დანერგვას საფუძვლად უდევს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი, რომლის მიხედვითაც მოსამართლებს შორის საქმეების განაწილება უნდა განხორციელდეს ელექტრონულად, შემთხვევითი განაწილების პრინციპით.

- საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული განაწილების სისტემა შექმნილია საერთო სასამართლოების საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ და მისი მოთხოვნები ეფუძვნება თანამედროვე დაპროგრამირების სტანდარტებს. სისტემის უსაფრთხოების მაჩვენებლები უზრუნველყობს სისტემის დაცულობას, მესამე მხარის მიერ შეუღწევადობას და საიმედობას;

- სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული განაწილების სისტემაში ხორციელდება მომხმარებლის მიერ გაკეთებული ყველა ქმედების ლოგირება დამატებითი უსაფრთხოების მიზნით და ასევე შემთხვევით განაწილების ალგორითმის მიერ გენერირებული მონაცემთა ლოგირება.



სასამართლო საქმის ელექტრონულად რეგისტრაციის სერვისი

- სასამართლოში საქმის წარმოებასთან დაკავშირებული პროცესების ავტომატიზაციის მიზნით დაინერგა სასამართლო საქმის ელექტრონულად რეგისტრაციის სერვისი. სასამართლო საქმის რეგისტრაციის ელექტრონული სერვისი ecourt.ge საშუალებას აძლევს მომხმარებელს :
- მოახდინოს საქმის განაცხადის შევსება და გადაგზავნა, საქალაქო და რეგიონულ სასამართლოში;
- ატვირთოს საქმესთან დაკავშირებული მასალები;
- მიიღოს ინფორმაცია გაგზავნი საქმის მსვლელობის შესახებ, როგორც ecourt.ge ის ასევე მოკლე ტექსტური შეტყობინების საშუალებით; მიიღოს ინფორმცია სასამართლო საქმეზე სხდომის ჩანიშვნის შესახებ;
- სერვისით სარგებლობის საშუალება ექვს, როგორც საბანკო სექტორს, ადვოკატთა კორპუსს და მსხვილი ორგანიზაციებს ისე ფიზიკურ პირებს.
- ონლაინ განაცხადის წარამტებით შევსების შემდეგ, განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე შეტყობინების სახით გამოიგზავნება სისტემაში შესასვლელი მომხმარებლისათვის ინდივიდუალურად განკუთვნილ სახელი და პაროლი.
- საქმის რეგისტრაციის ელექტრონულ სისტემაში დარეგისტრირება არის სწრაფი და მარტივი.
  - საქმის რეგსიტრაციის სერვისზე რეგისტრაცია არის უფასო; ყოველთვიური მომსახურების საფასური განისაზღვრება აღებული პაკეტის შესაბამისად;

შესყიდვების სამმართველოს მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული ღონისძიებები

სსიპ საერთო სასამართლოების დეპარატამენტის სახელმწიფო შესყიდვების გეგმამ საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში მიმდინარე წელს შეადგინა 10 530 600 ლარი, ხოლო საკუთარი სახსრების ფარგლებში 187 000 ლარი. წარმოგიგდგენთთ ხარჯვით ნაწილს:

საბიუჯეტო სახსრები.

ტენდერები: მიმდინარე წელს გამოცხადდა 188 ტენდერი, მათ შორის: 145 დასრულდა დადებითი შედეგით, 26 არ შედგა, 13 დასრულდა უარყოფითი შედეგი, 3 შეწყდა დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით.

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები: გაფორმდა 270 - ზე მეტი ხელშეკრულება;

ნორმატიული აქტით დადგენილმა გადასახდელებმა შეადგინა 127 039,50 ლარი.

საკუთარი სასხსრები

სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებები: გაფორმდა 100-ზე მეტი ხელშეკრულება.

ტენდერებიდან მიღებულმა დანაზოგმა გადააჭარბა 950 000 ლარს. აღნიშნული თანხა ასევე მიქცეულ იქნა სხვა შესყიდვების განსახორციელებლად

ექსპერტიზა - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო" - სთან სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 490 000 ლრი;

ფოსტა - შპს ,,საქართველოს ფოსტასთან" ადგილობრივი საფოსტო და საფელდეგერო მომსახურების ღირებულების თაობაზე დადებული ხელშეკრულებების ჯამმა შეადგინა 927000

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები

- 2016 წელს სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა მიზნად დაისახა იმ სასამართლოების შენობების დოკუმენტაციის მოძიება/შექმნა, რომლებიც საჯარო რეესტრში არ იყო დარეგისტრირებული ან/დ არეგისტრაცია ჰქონდა გაუქმებული. ჩატარებული სამუშაოების შედეგად 2017 წელს:

- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ თბილისის საქალაქო სასამართლო მიმდებარედ სარგებლობის უფლებით გადმოგვეცა 4 სხვადასხვა ფართი რომელთა გაერთიანებით შეიქმნა ერთი ნაკვეთი საერთო ფართით 15254კვ.მ. ფართი;

- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ დეპარტამენტის მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფო სკუთრებად დარეგისტრირდა და სარგებლობის უფლებით გადმოგვეცა 4 სასამართლოს შენობა: ზესტაფონის რაიონული, ოზურგეთის რაიონული, ბაღდათის მაგისტრატი და ვანის მაგისტრატი სასამართლოების შენობები.

- ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ უსასყიდლო უზუფრუქტის უფლებით გადმოგვცა ქობულეთის მაგისტრატი სასამართლოს მიმდებარედ არსებული სკვერი, (რომელსაც დაარსებიდან ამ პერიოდამდე სასამართლო იყენებდა) რომელიც კეთილმოეწყო დეპარტამენტის მიერ.

- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსადმი მიმართვის საფუძველზე დამატებით გადმოგვეცა ფართი ბორჯომის მაგისტრატი სასამართლოს მიმდებარედ, რომელიც აუცელებელი იყო მშენებლობის უკეთ ორგანიზებისათვის.

- თბილისის (ლილოს) არქივის გაფართოების მიზნით ქალაქ თბილისის მერიის ქონების მართვის სააგენტოს მიერ აღნაგობის უფლებით გადმოგვეცა 811 კვ.მ ფართი

- მოხდა თბილისის (ლილოს) არქივის გაფართოების მიზნით გადმოცემული ნაკვეთების გაერთიანება (ამჟამად ნაკვეთი შეადგენს 5607 კვ.მ.-ს)

- აქტიურად გრძელდება საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა მიღება და შენახვა,
- კერძოდ, თბილისში მდებარე არქივში შესანახად მიღებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2014-2015 წლის სისხლის, სამოქალაქო, ადმინისტრაციული სამართლის და სხვადასხვა კატეგორიის 113189 საქმე, მცხეთის 2007-2008წწ-1328 საქმე, დუშეთის 2005-2006წწ-2119 საქმე, რუსთავის 2011-2012წწ-5318 საქმე, ბორჯომის 2008-2011წწ- 4483 საქმე, ბოლნისის 2010-201122 -2594 საქმე , მარნეულის 2009-2011წწ-3252 საქმე, თელავის 2009-2010 წწ- 7550 საქმე, ახმეტის 2009-2012წწ -1877 საქმე.

- ზემოაღნიშნული რაოდენობის საქმეების შესაბამის ფონდებში განსათავსებლად საჭირო გახდა ამბროლაურის, ახალგორის, დუშეთის, ყაზბეგის, ყვარლის, რუსთავის, აჭარის ასრ-ს, ცაგერის, ონის, ამბროლაურის, დმანისის, ბოლნისის, თიანეთის, ქ.თბილისის რაიონების სტალინის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის, ლენინის, 1 მაისის სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006-2010წწ აღკვეთის ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების საქმეების, ქ.თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ 2010-2013წლებში განხილული საარბიტრაჟო დავის საქმეების და სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ მისი საქმიანობის შედეგად წარმოებული საქმეების გადაადგილება და განთავსება.



- ქუთაისში მდებარე არქივში გახორციელდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს 1999-2005 წლების, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2008-2012 წწ, სამტრედიის, ვანის და ტყიბულის რაიონული სასამართლოების 2008-2012წ ფონდების შევსება სულ 40356 საქმით.
- ხობში მდებარე არქივი შეივსო ხობის, წალენჯიხის, ჩხოროწყუს რაიონული და ფოთის საქალაქო სასამართლოს 2009-2010 წწ 2291 საქმით.
- ქობულეთში მდებარე არქივი შეივსო ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2010, 2012წწ ოზურგეთის და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების 2008-2012წწ, სულ 10276 საქმით.

- მიმდინარეობს სასევეთბილისის საქალაქო სასამართლოს 2005-2006 წწ მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტით, აღწერის გარეშე მიღებული ადმინისტრაციული საქმეების აღწერა რესტავრაცია და დასამუშავებლად გამოყოფა, ასევე მიმდინარეობს მზადება თბილისის საქალაქო სასამართლო ფონდის ყველა კატეგორიის 2007-2008 წლების როგორც ძირითადი, ასევე დამატებით შემოსული საქმეების სრული აღწერისა და სისტემატიზაციის მიზნით.
- 2016 წელს დაწყებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოიკვეთა აუცილებლობა აღწერა-რესტავრაციას დაექვემდებაროს მარნეულის რაიონული სასამართლოს 1998 წლამდე დამწვარი საქმეები და გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ აღწერის გარეშე, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტებით შესანახად გადმოცემული საქმეები.
- გრძელდება ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1966-1993წწ და ახმეტის რაიონული სასამართლოს 1941-2005წწ ყველა კატეგორიის საქმეთა დამუშავებისა და გასანადგურებლად საქმეთა გამოყოფის პროცესი.
- საერთო სასამართლოების არქივის არსებობის ისტორიაში პირველად განხორციელდა ქობულეთში, ხობსა და ქუთაისში მდებარე არქივებში განთავსებული საქმეების შენახვის ვადის გასვლის გამო, მათი გასანადგურებლად გამოყოფა, რაც მოწონებულ და დამტკიცებულ იქნა მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებით.
- საერთო სასამართლოების არქივში აქტიურად გრძელდება საცავში დაცული საქმეების აღწერა-ინვენტარიზაცია, დასრულდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 1958-2010 წწ ფონდის 39416 საქმის ინვენტარიზაცია, რა დროსაც, ფონდს დაემატა აღწერისა და მიღება-ჩაბარების გარეშე ფონდში განთავსებული სისხლის და სამოქალაქო სამართლის 33 საქმე. აღიწერა და რესტავრირებულ იქნა თბილისის საოლქო სასამართლოს 1999-2005წწ 3118 საქმე.

- თბილისის საქალაქო სასამართლოდან 2010 წელს დასრულებული საქმეების დამატებით, დიდი რაოდენობით არქივში გამოგზავნის გამო, საჭირო გახდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის სამოქალაქო საქმეთა ფონდის 13840 საქმის ხელახალი აღწერა და მისი ელექტრონული ვერსიის შედგენა.

საერთო სასამართლოების არქივი

- არქივისთვის პრიორიტეტულია თბილისის ძველი რაიონების (ლენინის, სტალინის, 1 მაისის, ორჯონიკიძის, 26 კომისრის სასამართლოთა ფონდებში 1935 წლიდან დაცული საქმეების, მცხეთის, ყვარელის, ბოლნისის, დმანისის ფონდებში 1937 წლიდან დაცული საქმეების დამუშავება და კანონმდებლობით მისი ცენტრალური არქივისთვის მუდმივად შესანახად გადაცემა.

- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის 2017 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით მოწონებულ იქნა საერთო სასამართლოების არქივში დაცული ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1929-1965 წლების სისხლის და სამოქალაქო სამართლის მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერები და აგრეთვე, ქუთაისში მდებარე არქივში დაცული ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, საჩხერის, ქუთაისის, წყალტუბოს, ხარაგაულის, ხონის, ქობულეთში მდებარე არქივში დაცული ბათუმის საქალაქო, ლანჩხუთის, ოზურგეთის, ქედის, შუახევის, ჩოხატაურის, ხელვაჩაურის, ხულოს, ხობში მდებარე არქივში დაცული მარტვილის, მესტიის, სენაკის, ზუგდიდის, ფოთის, ხობის და თბილისში მდებარე არქივში დაცული აჭარის უმაღლესი, ახალქალაქის, ახალციხის, ახმეტის, ბორჯომის, ოჩამჩირე-ტყვარჩელის, გაგრა-გუდაუთის, დუშეთის, თბილისის, თეთრიწყაროს, თელავის, მცხეთის და რუსთავის სასამართლოების ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული და სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებისა და საგამოძიებო მოქმედების ჩატარებასთან დაკავშირებული საქმეების გასანადგურებლად გამოყოფის შესახებ აქტები . მას შემდეგ რაც ანაწერები და აქტები მოწონებული და შეთანხმებული იქნა ქუთაისის ცენტრალური არქივის საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ, რაც დამტკიცებულ იქნა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად, ა/წლის 27 სექტემბერს თბილისის საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონზე განხორციელდა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1929-1965 წწ სამოქალაქო და სისხლის სამართლის 12465 საქმეზე დამუშავების შედეგად დარჩენილი დოკუმენტაციის და ზემოაღნიშნული რაიონების 81833 საქმის სულ 10. 350 ტონა ნარჩენების განადგურება- დამარხვითი სამუშაოები

- მუდმივმოქმედი საექსპერტო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, ქუთაისში მდებარე არქივს გადაეცა ჭიათურის რაიონული სასამართლოს 1929-1965 წლების მუდმივად შესანახ 12465 საქმეზე შედგენილი ანაწერები, საძიებო დავთრები და გადაწყვეტილებებისა და განაჩენების დედნები 208 ტომად.

- საერთო სასამართლოების არქივი, როგორც თბილისში ასევე ქუთაისში, ქობულეთსა და ხობში ყოველდღიურად ღებულობს მოქალაქეებს, ასევე საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი რაიონული თუ საქალაქო სასამართლოებიდან, პროკურატურიდან და სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო იურიდიული პირებიდან განცხადებასა და მოთხოვნას (17 ათასამდე განცხადება და მოთხოვნა), რომელზედაც ხდება სწრაფი და ეფექტური რეაგირება.



”საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ” საქართველოს კანონით 2017 წელს საერთო სასამართლოებისა და სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსებისათვის განისაზღვრა 67,47 მილიონი ლარი.

67,47 მილიონი ლარი ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადანაწილდა შემდეგი სახით:

კოდი	დასახელება	2017 წლის დამტკიცებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	განხორციელებული ცვლილებები 30.11.2017 წლის მდგომარეობით	2017 წლის დაზუსტებული გეგმა (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	საკასო ხარჯი 30.11.2017 წლის მდგომარეობით	შესრულება %	დაზუსტებული გეგმა 31.12.2017 წლის მდგომარეობით (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე)	დაგეგმილი შესრულება %
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**	**67 470 000**	**0**	**67 470 000**	**47 343 539**	**70.2%**	**57 470 000**	**100.0%**
	ხარჯები	52 460 000	-245	52 459 755	44 772 622	85.3%	52 459 755	100.0%
	შრომის ანაზღაურება	41 580 000	-1 294 745	40 285 255	34 691 298	86.1%	40 270 255	100.0%
	საქონელი და მომსახურება	9 561 000	1 285 000	10 846 000	9 089 983	83.8%	11 077 000	100.0%
	სოციალური უზრუნველყოფა	610 000	9 500	619 500	526 309	85.0%	581 500	100.0%
	სხვა ხარჯები	709 000		709 000	465 032	65.6%	531 000	100.0%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15 010 000		15 010 000	2 570 672	17.1%	5 010 000	100.0%
	ვალდებულებების კლება	0	245	245	245	100.0%	245	100.0%



საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული სასერვერო და ქსელური ინფრაქტრუქტურის შეცვლის მიზნით სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) წარმომადგენლობას შორის გაფორმებდა საგრანტო ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით საგრანტო თანხამ შეადგინა 270 (ორას სამოცდაათი) ათასი ლარი.

თანხა ლარებში

კოდი	დასახელება	მიღებული გრანტი	განხორციელებული ცვლილებები 30.11.2017 წლის მდგომარეობით	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი 30.11.2017 წლის მდგომარეობით	შესრულება %
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**	**270 000**	**0**	**270 000**	**269 992.17**	**100.0%**
	ხარჯები	0	7.83	7.83	0	0.0%
	გრანტები		7.83	7.83		0.0%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	270 000	-7.83	269 992.17	269 992.17	100.0%
	ვალდებულებების კლება	0		0		0.0%



საერთო სასამართლოებისშესახებ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად სსიპ – საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება, როგორც საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემოსავლებიდან (საკუთარი სახსრებიდან). 2017 წლისათვის საკუთარი სახსრების შემოსულობები განისაზღვრა 146 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები - 200000 ლარით.

კოდი	დასახელება	2017 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დამტკიცებული)	განხორციელებული ცვლილებები	2017 წლის გეგმა - საკუთარი სახსრები (დაზუსტებული)	მიღებული შემოსავალი და გაწეული საკასო ხარჯი 30.11.2017 წლის მდგომარეობით	შესრულება %
09 01	**საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა**					
	შემოსულობები	**146 000**	**0**	**146 000**	**246 520**	**168.8%**
	1.4.1.1 | პროცენტები	84 000		84 000	171 499	204.2%
	1.4.2.3.2.1 | შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	61 000		61 000	66 999	109.8%
	1.4.5.9 | სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	1 000		1 000	8 021	802.1%
	გადასახდელები	**200 000**	**0**	**200 000**	**91 987**	**46.0%**
	ხარჯები	100 000	0	100 000	59 919	59.9%
	საქონელი და მომსახურება	80 000		80 000	46 466	58.1%
	სხვა ხარჯები	20 000		20 000	13 453	67.3%
	არაფინანსური აქტივების ზრდა	100 000		100 000	32 068	32.1%



სარჩევი

- თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე მიმდინარეობს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის განკუთვნილი ფლიგელის მშენებლობა.....3
- თბილისის საქალაქო სასამართლოს დაემატა ერთი სხდომათა დარბაზი.....5
- 2017 წლის 30 ოქტომბერს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი სასამართლოს ახალი შენობა გაიხსნა.....6
- ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში საბადრაგო ბლოკს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა.....9
- ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სახურავის შეცვლის სამუშაოებიგანხორციელდა.....10
- თელავის რაიონულ სასამართლოში ფლიგელის მიშენების სამუშოები მიმდინარეობს.....12
- სიღნაღის რაიონულ სასამართლოში სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოებიმიმდინარეობს.....14
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ფოთის რაიონულ სასამართლოში სარეაბლიტაციო სამუშაოები განახორციელა.....16
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ქობულეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.....18
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოები განახორციელა.....20
- რუსთავის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებიგანხორციელდა.....22
- თიანეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა.....24
- დუშეთის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშოები განხორციელდა.....26
- ხონის მაგისტრატ სასამართლოში სარეაბილიტაციო სამუშაოებიგანხორციელდა.....28
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ ავტოპარკის დაზღვევაგანხორციელდა.....29
- ადმინისტრაციული სამსახურის მიერ მიმდინარე წელს განხორციელებული პროექტები.....30
- თბილისის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიაზე გაიმართა საერთო სასამართლოების ახალი ახალი მონაცემთა ცენტრის გახსნა.....32
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის ინფორმატიზაციის და კავშირგამბულობის სამმართველოს მიერ განხორციელებული პროექტები.....34
- საერთო სასამართლოების შეყიდვების სამმართველოს მიერ განხორციელებული პროექტები.....38
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტი უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ღონისძიებები.....39
- საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივი.....40
- სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის დაფინანსება.....43